ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 50

22 მარტი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, გოჩა თევდორაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

სხდომა ასევე ესწრებოდნენ:

საფინანსო საქალაქო სამსახური - ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტო - ნინო კვეტენაძე

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური - ვასილ აბულაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები #11-01190802837; #11-1190803904 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგებების კვარტალური გადანაწილების შესახებ (საკრ.№15-0319080148-03;15-03190814-03).

2. საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავაჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03190737-03).

3. საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავაჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის #6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03190737-03).

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის #17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-03190786-03).

5. ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.10.14.031.048) პირდაპირი განკარგვის წესით ლეილა ხობელიასთვის (პ/ნ 01817062041) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე. (#12-031907098-03)

6. ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა#4-ის მიმდებარედ არსებული 3 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.03.018.062) და თბილისში, ლესელიძის ქ#4-ის მიმდებარედ არსებული 7 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.03.039.047) შპს „ბისტროსთვის" (ს/ნ 204393931) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ. (#2-031907098)

7. ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთვსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე. (12-0319070100-03)

8. თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მ/რ კორ.33-ში (საკ/კოდი: 01.14.16.012.012) მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(12-0319070106-03)

9. თბილისში, ქიზიყის ქუჩა 333-ში (საკ/კოდი: #01.19.24.007.270) მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (12-0319070106-03)

10. თბილისში, დეკაბრისტების ქ.#3-ში (საკ/კოდი: #01.18.04.011.045) მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (12-0319070106-03).

11. თბილისში, ანნა პოლიტკოვსაკაიას ქუჩა #44-ში (საკ/კოდი: 01.14.05.003.009.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(12-0319070106-03)

12. თბილისში, ჭიჭინაძის I შესახვევი #3-ში (საკ/კოდი: 01.19.22.007.013.01.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(12-0319070106-03)

13. თბილისში, ანნა პოლიტკოვსაკაიას ქუჩა #48-ში (საკ/კოდი: 01.14.05.003.009.007.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(12-0319070106-03)

14. თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა #21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: 01.14.11.016.020) 95 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისათვის" (ს/ნ 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე. (#12-031907210-03)

15. თბილისში, ჯავის ქუჩა #2-ის მიმდებარედ არსებული 56 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.12.11.050.051) ნიკოლოზ ჭაჭუასთვის (პ/ნ 01024073552) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.(#12-031907210-03)

16. თბილისში,ხუდადოვის ქუჩა #173, კორპ.#4-ში (საკ/კოდი: 01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის #18.999.1433 განკარგულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით (12-03190787-03).

17. თბილისში, თემქის დასახლების კვარტალი X ბ მიმდევარედ არსებული 1000 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.12.02.015.120) სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (11-0319077109-03)

18. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ (03-031907184).

ნინო კვეტენაძემ მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-13 საკითხთან დაკავშირებით,რომელიც ეხება თბილისში, „ ანნა პოლიტკოვსაკაიას ქუჩა #48 ში (საკ/კოდი: 01.14.05.003.009.007.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებას“, ქონების მრთვის სააგენტოს მიერ დასაზუსტებელია რამოდენიმე ფაქტი და ითხოვა საკითხის დროებით გადატანა კომისიის მომდევნო სხდომამდე.
კომისიის წევრები დათანხმდნენ ნინო კვეტენაძის წინადადებას.
დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინებით.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები #11-01190802837; #11-1190803904 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგებების კვარტალური გადანაწილების შესახებ (საკრ.№15-0319080148-03;15-03190814-03).

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგიმა ლევან მიქავამ.
მან დაწვრილებით ისაუბრა საქალაქო სამსახურების, რაიონული გამგეობების და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მიერ მოთხოვნილი კვარტალური გადანაწილებების შესახებ. მ.შ. იზრდება „გზების მოვლა-შეკეთებაზე“ პირველი კვარტლის გეგმები ვაკის რაიონში - 365 500 ლარით, კრწანისის რაიონში - 50 000 ლარით, მთაწმინდის რაიონში - 10 000 ლარით, კეთილმოწყობით ღონისძიებებზე - ნაძალადევის რაიონში- 90 000 ლარით, ისნის რაიონში -142 000 ლარით, მთაწმინდის რაიონში - 82 000 ლარით, ხოლო დიდუბის რაიონში კეთილმოწყობითი ღონისძიებებისათვის იზრდება მეორე კვარტლის გეგმა 105 898 ლარით. განვითარების ფონდის მოთხოვნით პირველი კვარტლის გეგმიდან 6 000 000 ლარი გადადის მეორე კვარტალში, ხოლო სკოლამდელი აღზედის დაწესებულებების ხელშეწყობისათვის პირველი კვარტლის გეგმას ემატება 1 339 382 ლარი. გარდა ამისა წარმოდგენილია თბილისის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი ცვლილება „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში, კერძოდ პირველ კვარტალს ემატება 15 000 ლარი.
აზრი გამოთქვეს:
საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა -პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრების რამინა ბერაძის და დავით უთმელიძის შეკითხვებზე დაწვრილებით განმარტა ლევან მიქავამ.
შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.
მომხრე-6, თავი შეიკავა რამინა ბერაძემ, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი ითხოვენ მათთვის მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების კვარტალურ გადანაწილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრეთა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო**

სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

მოიმინეს: საქართველოს დედაქალაქის -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავაჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის წერილი, რომელშიც აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანო, იმის გათვალისწინებით, რომ ერთის მხრივ პროფესიული სტუდენტის სტატუსი გააჩნიათ როგორც ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებსაც ხოლო მეორეს მხრივ კანონმდებლობაში შესული ცვლილების შედეგად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

ასევე, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის 11 დეკემბრის №03-03183456 წერილი (თანდართული საქართველოს საქველმოქმედო ფონდ „9 აპრილის“ პრეზიდენტის მიმართვით), სადაც აღნიშნულია, რომ საჭიროდ მიაჩნია 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთა კონტინგენტს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მიეცეს უფასოდ მგზავრობის უფლება.

გარდა ამისა, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2015 წლიდან ყოველწლიურად თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურსა და საქართველოს უსინათლოთა კავშირს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების შესაბამისად, აღნიშნული კავშირი ახორციელებს თბილისში მცხოვრებ უსინათლოთა გამცილებლით მომსახურების პროექტს, რომელშიც ჩართულია 3 გამცილებელი, რომლებსაც პროექტით გათვალისწინებული მომსახურების პროცესში, ყოველდღიურად უწევთ სატრანსპორტო ხარჯის გაწევა, რომელიც აკლდება მათ შემოსავალს. საქართველოს უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარე ითხოვს პროექტის ფარგლებში დასაქმებული 3 გამცილებლისთვის უფასოდ მგზავრობის უფლების მიცემას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №19-0119014428 წერილის მიხედვით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე“ გაუქმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს №18.656.996 განკარგულების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა შესაბამისი ცვლილებების შეტანა და ამ მიზნით შემუშავდა პროექტი, რომლის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ითხოვა დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტში სამინისტროს სახელის შეცვლასთან ერთად (ამ ქვეპუნქტის ფარგლებში დღეის მდგომარეობით შეღავათიანი მგზავრობის 0,2 ლარიანი ტარიფით მგზავრობის უფლება მიცემული აქვს თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის 85 თანამშრომელს და თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის 53 თანამშრომელს) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის,

თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებისა და თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის თანამშრომელთა შეღავათიანი მგზავრობის 0,2 ლარიანი ტარიფით მგზავრობის უფლების მიცემის გათვალისწინებაც, რაც ასახულია წარმოდგენილ პროექტში.

კომისიის წევრების შეკითხვაზე, ვასილ აბულაძემ განაცხადა, რომ მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2018 წლის 20 დეკემბრის მონაცემებით, თბილისში რეგისტრირებულ „1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულებისა და დაღუპულთა ოჯახის წევრების“ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული იყო 755 ბენეფიციარი, ხოლო გაცემული და გააქტიურებული იყო 286 ბარათი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავაჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის #6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება გამომდინარეობს წინამდებარე დადგენილების ცვლილებიდან.

წარმოდგენილი პროექტით, ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ჩამოყალიბებული პირველი მუხლის შესაბამისად თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტის გარდა, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე სხვა კატეგორიების მოქალაქეთათვის ბარათების გაცემა უნდა უზრუნველყოს მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის #17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ნინო კვეტენაძის განმარტებით 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) დახმარება ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 – 2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამებიდან, თუმცა დაზარალებულ პირთა დახმარება კვლავ მიმდინარეობს და ამ ეტაპზე პროცესი არ დასრულებულა, რადგან კონკრეტულ შემთხვევებში დახმარების გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება გულისხმობს მოცულობითი დოკუმენტაციის უფლებამოსილი ორგანოებისათვის წარდგენას, მათ შეფასებას, გარემოებათა გამოკვლევას და გადაწყვეტილებების მიღებას, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან. ამასთან, ცალკეულ უძრავ

ქონებასთან დაკავშირებით, როგორც ფიზიკურ პირთა შორის, ასევე ფიზიკურ პირებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის სასამართლოში მიმდინარე ცალკეული დავები დასულდა 2018 წელს და ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული თანხების არასაკმარისმა მოცულობამ შეაფერხა ფულადი დახმარების გაცემის პროცედურები, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში დარჩენილი ვადის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა დადგენილების საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისად მიზანშეწონილია დაზარალებულთა დახმარება გაგრძელდეს 2019 წლის 30 დეკემბრამდე.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული 2 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.10.14.031.048) პირდაპირი განკარგვის წესით ლეილა ხობელიასთვის (პ/ნ 01817062041) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე. საჯარო რეესტრის მიხედვით მის საკუთრებაშია მიჩკევიჩის ქ.#6-ში მდებარე უძრავი ქონება. ლეილა ხობელიას 10 წლის ვადით გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე, 2 კვ.მ მიწის ნაკვეთი, კიბის უჯრედის გამოყენების, ფუნქციონირების მიზნით. წლიური საიჯარო ქირაა 250 ლარი

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: თბილისში, ლესელიძის ქუჩა#4-ის მიმდებარედ არსებული 3 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.03.018.062) და თბილისში, ლესელიძის ქ#4-ის მიმდებარედ არსებული 7 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.03.039.047) შპს „ბისტროსთვის" (ს/ნ 204393931) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ.

შპს „ბისტროს" იჯარის ფორმით გადაეცემა თბილისში, ლესელიძის ქ.№4-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 7 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით კომპანიის საკუთრებაშია ლესელიძის 6/4-ში მდებარე უძრავი ქონება (საკ/კოდი: 01.18.03.018.05.01.503). კომპანია თანახმაა მის დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობისას დაიცვას არქიტექტურის სამსახურის მიერ წერილით განსაზღვრული პირობები. წლიური საიჯარო ქირაა 1800 ლარი, იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა 5 წელი.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე.

ნინო კვეტენაძის განმარტებით, რამოდენიმე კომპანიას და ფიზიკურ პირს, რომლებასც ქონდათ იჯარის ფორმით აღებული მიწის ნაკვეთები ჯიხურებისათვის გაუგრძელდათ იჯარის მოქმედების ვადა 2019 წლის 31 ივლისამდე, მოქმედი ხელშეკრულებების შედეგად დადგენილი წლიური სარგებლობის საფასურის უცვლელად. მ.შ. შპს „შირაქი", სს „მაცნე", შპს „პოულტრი" და რამოდენიმე ფიზიკური პირი.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მ/რ კორ.33-ში (საკ/კოდი: 01.14.16.012.012) მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ვაკის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრო/რაიონის, კორპუს N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. **6 პირს (6 ოჯახს) გადაეცემა 6** ერთეული ფართი საერთო რაოდენობით **731.11 კვ.მ** სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად. შსს-ს ინფორმაციით ისინი 1998-2000 წლებიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: თბილისში, ქიზიყის ქუჩა 33-ში (საკ/კოდი: #01.19.24.007.270) მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

სამგორის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.270) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც 2003 წლიდან ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. **5 პირს (5 ოჯახს) გადაეცემა 5** ერთეული ფართი საერთო რაოდენობით **291.67 კვ.მ.** თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავი ქონების სიმბოლურ თანხად - 1 (ერთ) ლარად გადაცემას.
მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: თბილისში, დეკაბრისტების ქ.#3-ში (საკ/კოდი #01.18.04.011.045) მდებარე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.
კრწანისის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით ქ. თბილისში, დეკაბრისტების ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.04.011.045) მდებარე უძრავი ქონება, **5** ერთეული ფართი, საერთო რაოდენობით **315.24** კვ.მ, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად გადაეცემა **4 პირს (4 ოჯახს).** აღნიშნული პირები **შსს-ს ინფორმაციით 1990-იანი** წლებიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: თბილისში, ანნა პოლიტკოვსაკაიას ქუჩა #44-ში (საკ/კოდი: 01.14.05.003.009.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.
მოქალაქე დარიკო კოპალიანს გადაეცემა 75,44 კვმ ფართი სიმბოლურ ფასად. მოქალაქე აფხაზეთის ომის დაწყებამდე დედასთან ერთად ჩამოვიდა თბილისში სამკურნალოდ და ომის დაწყების გამო ვერ დაბრუნდა უკან. გამგეობის მიერ დედა, როგორც დევნილის სტატუსის მქონე, შვილთან ერთად შესახლებული იქნა

აღნიშნულ მისამართზე. 2011 წელს დარიკო კოპალიანის დედა გარდაიცვალა, რაც შეეხება დარიკო კოპალიანს ის არ არის დევნილის სტატუსის მქონე და შსს ინფორმაციით აღნიშნულ ფართში 18 წელი ცხოვრობს შვილებთან ერთად. ოჯახი არის სოციალურად დაუცველი.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: თბილისში, ჭიჭინაძის I შესახვევი #3-ში (საკ/კოდი: 01.19.22.007.013.01.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მოქალაქე იზოლდა მელუას, რომელიც არის ასაკით პენსიონერი და სოციალურად დაუცველი (1000 ქულა) გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 17,65 კვმ ფართი. შსს ადასტურებს აღნიშნულ მისამართზე მოქალაქის ცხოვრების ფაქტს. გამგეობის შემოწმების აქტის მიხედვით მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 20 წელი.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა #21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: 01.14.11.016.020) 95 კვმ მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისათვის“ (ს/ნ 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

კომპანიას აღნიშნულ მისამართზე სარგებლობაში იჯარის ფორმით გადაეცემა 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ღია კაფის მოსაწყობად. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქუჩა №21ა/ ირაკლი აბაშიძისა და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.039.01.01.003), 2025 წლის 31 აგვისტომდე. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2019 წლის 4 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 22 800 ლარით. კომპანია თანახმაა, დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე დაიცვას არქიტექტურის სამსახურის წერილით გათვალისწინებული განსაზღვრული პირობები, რაც გულისხმობს შემდეგს: ღია კაფის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები და ასევე შენობაზე, საძირკვლის არსებობის შემთხვევაში დაცული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების მიმართ 3 მეტრიანი მანძილი.
წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 2025 წლის 31 აგვისტომდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 22 800 ლარის ოდენობით.
მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: თბილისში, ჯავის ქუჩა #2-ის მიმდებარედ არსებული 56 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.12.11.050.051) ნიკოლოზ ჭაჭუასთვის (პ/ნ 01024073552) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

ნიკოლოზ ჭაჭუას სარგებლობაში, იჯარის ფორმით გადაეცემა, ჯავის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული 56 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.12.11.050.051), ღია კაფის მოსაწყობად. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის თანასაკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ჯავის ქუჩა №2-ში/ჯავის ქუჩა №2-ის მიმდებარედ მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №01.12.11.050.008). წლიური საიჯარო ქირაა 2700 ლარი. იჯარის მოქმედების ვადა 5 წელი.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: თბილისში, ხუდადოვის ქუჩა #173, კორპ.#4-ში (საკ/კოდი: 01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის #18.999.1433 განკარგულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით

აღნიშნული პროექტით, ქ. თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუს N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის N18.999.1433 განკარგულებაში შედის ცვლილება და განკარგულების დანართ N1-ის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკურ პირ ვეფხვია ონანოვთან (პ/ნ 01030018671) ერთად, მისივე მოთხოვნით, ფართის (54,60 კვ.მ, ს/კ 01.16.09.001.004.01.510) თანამესაკუთრეებად განისაზღვრება მისი ოჯახის ყველა წევრი ნინო ონანოვი (პ/ნ 01005033026), მარიანა მაისურაძე (პ/ნ 01030018670), მინდია ონანოვი (პ/ნ 01005033153) და გიორგი ონანოვი (პ/ნ 01030049385).
მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: თბილისში ,ვარკეთილის 3-ის დასახლების IV მ/რ-ის კორპ. #16-ში (საკ/კოდი: 01.,19.39.002.017.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ნინო პაპუნაშვილს, რომელიც 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე სიმბოლურ ფასად გადაეცემა 40,38 კვმ ფართი. აღნიშნული ფართი, მის მეუღლეს როგორც ომის ვეტერანს საკუთრებაში გადასცა მაშინდელმა სახლმმართველობამ.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: თბილისში, თემქის დასახლების კვარტალი Xბ მიმდებარედ არსებული 1000 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.12.02.015.120) სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

თემქის დასახლების კვარტალი X ბ მიმდებარედ არსებული 1000 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.12.02.015.120) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით გადაეცემა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას, არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნების პირობით.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ.

საკითხი კომისიის წევრებს გააცნო ირაკლი ზარქუამ.

მომხრე-7; გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა